ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4686650

ნომერი: AR1707913

თარიღი : 19.09.2019

გაცემის თარიღი : 26.09.2019

გაცნობის თარიღი : 26.09.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მუხიანის ბაზრობის მიმდებარედ, წყალკანალისკენ მიმავალ ტერიტორიაზე, (ნაკვეთი N2/64);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჭუმბურიძე პ/ნ 01030013137
- ლევან რჩეულიშვილის მე-2 ჩიხი #1

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის

“თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია რომლის პასუხად გაცნობებთ:

1. ვინაიდან საპროექტო ტერიტორია მდებარეობს საზოგადოებრივ საქმიან ზონა 2 (სსზ-2)- ის მოქმედების არეალში იმისთვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ მოთხოვნასთან დაკავშირებით, საჭიროა პირველ რიგში დააკონკრეტოთ საპროექტო შენობაში შემავალი თითოეული ფუნქციის პროცენტული მაჩვენებელი. ასევე განმარტეთ საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ შენობებზე.

2. ვინაიდან საპროექტო ტერიტორია მდებარეობს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის შეზღუდვის არეალში, საჭიროა წარმოადგინოთ აღნიშნული სამსახურის პოზიცია საპროექტო სამუშაოებთან დაკავშირებით.

3. წარმოადგინეთ ტერიტორიაზე საპროექტო შენობა–ნაგებობის განთავსების სქემა.

4. საპროექტო მიწის ნაკვეთს კვეთს შპს ,,თიბიეს ჯგუფი“ -ს საკუთრებაში არსებული ხაზობრივი ნაგებობა (ს.კ. N 01.01.912). აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა წარმოდგენილ იქნეს შპს ,,თიბიეს ჯგუფი“ -ს პოზიცია საპროექტო სამუშაოებთან დაკავშირებით.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.